ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ინასარიძე

ძვირფასო ალბერტ!..
ილოცავთ!..
ავტორი ბავშვ!..
26.5.83 წ.

ჯადოსნური სამკუთხელი

ქართული პინოფილმის "ვეფრეგასი" გამ

და
მიანი
ერი რომე
ლიც წარხულს
აწმყოსა და მო
მავალს ამ ჯადოს
ნურ სამეგბას შორის
შეგნებულად თუ შეუგნე
ბლად წონასწორობას არღვ
ევს ხდება უჯიშო და დროთა
განმავლობაში დაიღუპება თუ
ვერ შეიგნებს შეიცნობს. რომ
წარხული აწმყოა აწმყო მომავალია
მხოლოდ ერი ნაცია არის ინტერ ნაციო
ნალიზმის ჯანხალი ბაზა და არა პირიქით

ქართული პინოფილმის "ვეფრეგასი" გამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოსნური სამკუთხედი

ქართული კინოფილმის "ვედრებას" გამო

"ადამიანი, ერი, რომელიც წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ამ ჯადოსნურ სამეკალს შორის - შეგნებულად თუ შეუგნებლად("შეექცევა გრძნობა") - წინასწარიგბას არღვევს, ხდება უჯიმი, და, დროთა განმავლობაში, დაიღუპება თუ ვერ შეიგნებს, შეიცნობს, რომ - წარსული აწმყოა - აწმყო მომავალია.

მსოფლიო ერი, საკუთარ ისტორიულ-საკუთარ-საერთაშორისო ბაბა და ანა პირიქით.

I.

ვნახე რა მიუნხენის კინომუზეუმის თეატრში, 1983 წლის 3 თებერვალს, თენგიზ აბულაძის კინოფილმი "ვ ე დ რ ე ბ ა" - (დადგმა თენგიზ აბულაძე;მთავარ როლებში სპარტაკ ბაღაშვილი, რუსუდან კიკნაძე; ვაჟა-ფშაველას პოემების "აღუდა ქეთელაურისა" და "ხუმარ-მახვინ-ძელის" მიხედვით; "ქართული ფილმი", 1968 წელი),-თვალწინ წარმო-მესახა არა მარტო ვაჟას და ამით ქართველი ერის მრავალ-ათასწლ-ოვანი ეროვნული მეობა, არამედ - მას ზევით - კაცობრიობის გიგა-მეშისეული წარსული საერთოდ. ამდენად შთამბეჭდავათ მესა-ხება ამ ფილმის შინაარსი, ფორმა, გამოთქმა, რომელშიც ჩაქსოვილია საქართველოს, ქართველი ერის წარსული, აწმყო, მომავალი;- ეს ჯადოს-ნური სამკუთხედი. მაგრამ რამ გამოიწვია ამ ჯადოსნური სამკუთხედის პრობლემის წამოჭრა დღეს საბჭოთა საქართველოში?..

II.

კინოფილმის "ვედრებას" შესახებ, სერგეი დრობაჩენკოს რედაქტორობით გამოცემულ კრებულში - "ფილმი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებში" (მაინის ფრანქფურტი, 1982 წელი. გერმანულ ენაზე) - ვკითხულობთ: "თუ როგორ იყენებს აბულაძე მის ფილმებში ალეგორიებს, სიმბო-ლოებსა და მეტაფორებს, განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს კინოფილმ "ვედრებაში"(1968 წ.), რომელიც დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას პოემებს "აღუდა ქეთელაურსა" და "ხუმარ-მახვინძელს" ეყრდნობა. რომანტიკოსებისაგან წარსულის იდეალიზაციის საწინააღ-მდეგოდ,ვაჟა-ფშაველა ცხოვრებას მატერიალისტურად ასახავდა და

კაპიტალიზმს კრიტიკულად უყურებდა. იგი ბურჟუაზიას 'დაუსაფლავებელ ცხედარს' უწოდებდა. ფილმიც ასახიერებს ამ მეტაფორას ალეგორიული ფორმით: ერთი ვაჭრის დასაფლავებისას, თბილისის მდიდარი არისტოკრატიის პროცესია ასახულია როგორც გახრწნილ ცხედართა აღლუმი. მთელი ფილმის განმავლობაში ეკრანზე მოსჩანან ფიგურები - ერთი პოეტი, ერთი ლამაზი ქალიშვილი და ეშმაკი, რომელსაც ადამიანის სახე მიუღია. დასასრული სიმბოლიურად გამოსახავს პოეტის გამარჯვებას, როცა ის ხმალით ლამაზ ქალიშვილს იცავს".

III.

ანალოგიურად ზედაპირულია თენგიზ აბულაძის კინოფილმის "ნატვრის ხეს" განმარტებაც:

"აბულაძე კინოფილმში "ნატვრის ხე"(1977 წ.), პოეტ გიორგი ლეონიძის ნაწარმობთა მიხედვით, ასახავს რევოლუციამდელ ქართულ სოფელს. მდიდართა ინტერესებისათვის ღარიბებს ჩაგრავენ, რაც იწვევს პროტესტს, და გლეხობაში საწინააღმდეგო პოზიციები ერთმანეთს ეჯახება. კინოფილმი არაჩვეულებრივი სურათებით ასახავს მრავალფეროვან მსოფლიოს სიზმარსა და სინამდვილეს, სიცოცხლესა და სიკვდილს, კეთილსა და ბოროტს შორის. ვინაიდან აბულაძე რეალობასა და სურრეალობას, გროტესკულსა და მწუხარებას ერთმანეთში ურევს, იგი შეიძლება განვითარებული 'პოეტური' სტილის წარმომადგენლად ჩაითვალოს".

IV.

ვითომ ცხოვრების მატერიალისტური გაგება თუ ბურჟუაზიის"დაუსაფლავებელ ცხედრად" წოდება არსებითია ვაჟას შემოქმედებაში ან აბულაძის "ვედრებაში?..".

V.

ვაჟა-ფშაველას ვერც ერთი ნაწარმოები ვერ ეტევა ასეთ ერთხასოვან მსოფლხედვაში. პირიქით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანი და მრავალფენოვანია, რომ უადგილო არ იქნება თუ ვაჟას

არა მარტო ქართველ დიდ მოაზროვნე-ხელოვანთა გვერდით დავაყენებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაჟას ნაწარმოებთა ქვედა-ფენები სიტყვიერი გამოსახვით(როგორ უცნაურადაც არ უნდა ყღეროდეს ეს აზრი) სიტყვიერი გამოსახვის საზღვრებს ცოვებს და მხოლოდ გრძნობიერებით შეიძლებმა აღიქვას, რაც არის ჯამი ვაჟას პიროვნების, დროის, გამოსახვის დარგისა და მასალის, სტილის ამ ოთხი განმსაზღვრელი ელემენტის,რაც,თავის მხრივ,ნიშნავს იმას, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

განუყოფელია ვაჟას პიროვნების, მისი ცხოვრების ხანის, გამოსახვის დარგისა და მასალისაგან. ანალოგიურად, აბულაძის "ვედრება" განუყოფელია მისი პიროვნების, მისი ცხოვრების ხანის, გამოსახვის დარგისა და მასალისაგან. ამგვარად, ვაჟას აღნიშნული პოემებისა და აბულაძის კინოფილმის შინაარსი, ფორმა, გამოთქმა შეუძლებელია ერთმანეთს დაემთხვას სტილისტური გამოთქმის რომელიმე სფეროში, ვინაიდან ვაჟა, როგორც ინდივიდი, სხვაა, და სხვაა აბულაძის პიროვნება; სხვაა ვაჟას შემოქმედების პერიოდი(მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნა) და სხვა აბულაძის ისტორიული ხანა; სხვაა ვაჟას ხელოვნების დარგი(პოეზია) და მასალა(დაწერილი სიტყვა), და სხვა აბულაძის "ვედრებას" დარგი(კინოხელოვნება) და მასალა(მოძრავი სურათები). ამდენად, ვაჟა-ფშაველას ცხოვრების წარსული,აწმყო და მომავალი, მისივე გამოსახვის შინაარსი,ფორმა და გამოთქმა - ერთის მხრივ - და აბულაძის ცხოვრების წარსული, აწმყო და მომავალი და მისივე გამოსახვის შინაარსი, ფორმა და გამოთქმა - მეორეს მხრივ - ვერ დაემთხვევა ერთმანეთს, რის ფიგურული ასახვა ორი ჯადოსნური სამკუთხედით შეიძლება, რომელთა "ა" კუთხე "წარსული" და "შინაარსია", "ბ" კუთხე "აწმყო" და "ფორმაა",ხოლო "ც"კუთხე - "მომავალი","გამოთქმაა". (იხ.ნახაზი 1.). როგორც ვხედავთ, ურთიერთობის გარკვევა ვაჟას აღნიშნულ პოემებსა და აბულაძის"ვედრებას" შორის აღვილი საქმე არაა.



ნახაზი 1.

VI.

ვაჟას"ხუმარ-მახპინძელში" - მაჰმადიანი ქისტებისა და ქრისტიანე ხევსურების სოფლების ყოფა-ცხოვრების ფონზე - მოცემულია მაჰმადიანი ჯოყოლა აღხასტაისძისა და ქრისტიანი ზვიადაურის ცხოვრება, როგორც თავთავიანთი ტომების წარმომადგენლებისა. ვაჟა-ფრაშველას პოემაში ზვიადაურს ხუმრად იწვევს ჯოყოლა,რომელიც ნადირობისას შეეყარა მას; და ვინაიდან "ზვიადაურის სახელი გავშმაც კი იცის მთაშია", ის იყო მუდამ ქისტების გაჟლეტის ცდაშია, "იცრუა ზვიადაურმა" ნუნუა მქვიან სახელადო. მაგრამ ჯოყოლას სახლში "ჯაღარაშერთულმა" მოხუცმა იცნო ზვიადაური, აცნობა ქისტებს, რომლებმაც მოთხოვეს ჯოყოლას ზვიადაურის გაცემა,ვინაიდან "უნდა შესწირონ თავის მკვდარს ზვიადაურის თავია; უნდა მცრის საფლავზე დაკლან, როგორც წესი არია". მიუხედავათ იმისა, რომ ჯოყოლა გაიგებს მისი ძმაც კი მოკლა ზვიადაურმა, ის მაინც ადათჩვეულებას იცავს, როცა ამბობს -"ეგ ხუმარია ეგ ჩემი, თუნდ ბღვა ემართოს ხისხლისა...როცა გასცდება ჩემს ოჯახს იქ მოეპყარით ავადაო". ქისტები მაინც შეკრავენ ზვია-

დაურს, წაიყვანებენ სასაფლაოზე; "უნდა თავის მკვდარს შესწირონ, რომ იქ უზიდოს წყალია". მაგრამ ზვიადაური არ ცყდება, არ ეწირება, და გაიძახის "ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!" "ძაღლ იყოს",ყელში ამბობდა, სანამ მოჭრიდენ თავსაო!" "ქისტები გაწყრენ, იცკიცეს, ვერ აუსრულდათ წადილი, ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს მის შესაფერი სადილი". და როცა ზვიადაურს ჯოყოლას ცოლი მაინც დაიცირებს და ამით ქისტების ზნეჩვეულებას არღვევს, ჯოყოლა ამბობს:"მაგისთვის როგორ შეგრისხავ?....იცირე?! მადლი გიქნია, ...დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა".

ხევსურეთის სოფელ"ბისოს მოვიდა ამბავი":"მოუკლავთ ზვიადაური". "ვაჟკაცთ გაიგეს ამბავი". "ქუდზე კაბ უნდა წავიდეს! - ბუბუშაული ბყვირისა". და"ჯოყოლა მოკლეს ხევსურთა ბრძოლაში". "ღამ-ღამ ხედავენ სურათსა ზვავისგან ნაგალს ...ორაში: კლდის თავს წარდგება ჯოყოლა, სასაფლაოსკე იძახებს:"ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!" "მივა და მიესალმება თავის ძმობილსა მდუმარედ". "ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა, სცუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და და-ძმობისა".

VII.

აღუდა ქეთელაური,-არღვევს რა ხევსურთა შორის განმცკიცებულ მარჯვენა მკლავის მოკვეთის ცრადიციას, - ვაჟკაცურად დაღუპულ მოწინააღმდეგეს მკლავს არ მოკვეთს. კიდევ მეტი: ქეთელაურმა ვაჟკაცობის სიმბოლო ფრანგული მუცალს მარჯვენა ხელში დააკავებინა და მას ცრემლნარევი სიტყვებით ასე გამოეთხოვება:

"ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ფმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ აღალი არიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხელ შენს გულზე დამიწყდეს,
ნურც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!"

აქ უკვე იწყება ნამდვილი ქონფლიქტი მთელ თემსა ღა ქეთელაურს შორის, ვინაიდან,თემის უძველესი ტრადიციის თანახმად, მცერი ხიკვდილის შემდეგაც მოწინააღმდეგედ რჩება. მაგრამ აღუდა ქეთელაური კიდევ უფრო შორს მიდის, როცა ქისტს, მაჰმადიანს, ხევსური ქრისტიანი ქეთელაური ზვარაკს შესწირავს. და როცა, ქრისტიანული მორალიდან გამოდინარე, ხუცესი ბერდია კატეგორიულ უარს ამბობს არაქრისტიან, ე.ი.მაჰმადიან მუცალისათვის კურატის შეწირვაზე, აღუდა არღვევს ქრისტიანულ წესს და თვით კლავს შესაწირავ კურატს:

"გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაედვა მგლისაო;
ხელი დაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
აღლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო".

ამის გამო თემის ხუცესი შერისხავს აღუდა ქეთელაურს,და განდევნილ იქნა თემიდან. როგორც პოემა "ცუმარ-მასპინძელში" მაჰმადიანთა, ქისტების თემმა დაარღვია ცუმარ-მასპინძლობის ადათი და ჯოყოლას სახლში შესული ხელუხლებელი ცუმარი - ზვიადაური დასაჯა, ასევე ქრისტიანულმა თემმა განდევნა ქეთელაური მუცალის მარჯვენა მკლავის არმოჭრის გამო.

VIII.

თენგიზ აბულაძე კი აღუდა ქეთელაურსა და ზვიადაურს ერთ სახეობად ქმნის, რომელიც მოკლულ მოწინააღმდეგის(ქისტის) მარჯვენა მკლავის მოკვეთის ტრადიციას არღვევს; კიდევ მეტი, მუცალს ზვარაკსაც კი

ჩირავს, რის შედეგად თემის ხუცესი შერიცხავს აღუდას და განდევნიან მას თემიდან. ამის შემდეგ მოქმედებაში ჩართულია ჯოყოლასა და ბვიადაურის ცუმარ-მასპინძლობა, ამ ტრადიციის ქისტების თემისაგან დარღვევა, "ბვიადაურის შეჩირვა", ჯოყოლას ცოლისაგან მისი დაცირება, რასაც ჯოყოლა კი არ გმობს, არამედ,პირიქით,იჩონებს და დასძენს:"...დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისაო".

IX.

აქედან გამომდინარე,შეიძლება ითქვას: ჯოყოლა და ქეთელაურ-ბვიადაურის კონფლიქტი ქისტებისა და ხევსურების თემებთან იმდენად ეროვნული, დედა-მიწის ამ მიწა-წყალთანაა მიჯაჭვული, რომ ეს გმირები მაღლებიან და გიგანტურ, განზოგადებულ ხამყაროში შედიან და,საერთოდ, ადამიანის, ადამიანურობის ერთერთი ხაზომი ხდებიან. აქ კი მაგონდება პაულ ბეკერის გამონათქვამი ბეთხოვენის "Missa Solemnis"-ის "მისსა სოლემნის" შესახებ, როცა ის - იზიარებს რა სხვა კრიტიკოსთა აზრს "მისსა სოლემნის" არის არაეკლესიური, ზეეკლესიური, ყოველგვარი ლიტურგიული ნაწარმოების გარდამლახავი გამოხატვა,რომელიც უფრო ჰუმანიურობას,ვიდრე რელიგიურ დოგმას ქადაგებს,- ამბობს: "ბეთხოვენი გამყოფ კედელს ეკლესიასა და მსოფლიოს შორის ანგრევს. სანამდის მისი მხედველობა აღწევს, არის მისი ეკლესია. ის აგებს თავის აღტარს მსოფლიოს შუაგულში. კონფესიურ ჯებირებს ის ვერ იტმენს"(Paul Bekker: Beethoven. - "Beethoven stoesst die Scheidemauer zwischen Kirche und Welt um. Soweit seine Auge reicht, ist seine Kirche. Er errichtet seinen Altar im Mittelpunkt der Welt.Konfessionelle Schränken duldet er nicht")

ამგვარად, ბეთხოვენი და ვაჟა(აბუღაძე), თუ მოყვანილი მაგალითებით განვსჯით, უმაღლესი ჰუმანიტარული ეთოსის გამომხატველებია, რომელთა "პანთეიზმის"ღმერთი და მსოფლიო-ხამყარო ერთიროულად.

X.

მაგრამ "ვედრებას" მოქმედება უფრო შორს მიდის: ჯოყოლასა და ბვიადაურის(ქეთელაურის) კონფლიქტი მათს თემებთან შეკრულია მოქმედების ჩარჩოთი, რომელიც სამი სახეობის - "პოეტის", "ახალგაზრდა ქალიშვილის" და ეშმაკის - ფონზე იშლება. ეს სამი სახეობა მოქმედებას ისევდაისევ მიმართულებას აძლევენ, რაც აყენებს კითხვას:

ვინ არის და რის სიმბოლოა ეს "პოეტი"?.. ვინ არის და რის სიმბოლოა, როგორც ამ ფილმის გერმანულ პროგრამაში ვკითხულობთ, ეს "ლამაზი ქალიშვილი?.." რაც შეეხება ეშმაკს, ეს ბოროტების, "ბოროტი სულის" გამომხატველი-სიმბოლოა, რასაც, ჯფიქრობ, განმარტება, ინტერპრეტაცია არ ესაჭიროება. მაგრამ რა კავშირშია რელიგიური თუ საერთო საკაცობრიო ბოროტების გამომხატველი ეშმაკი "პოეტთან" ან "ლამაზ ქალიშვილთან"?.. აბულაძე იძულებული ხომ არ გახდა "პოეტი" და "ლამაზი ქალიშვილი" შეენიღბა?..

XI.

ვნახე რა სპარტაკ ბალაშვილი "პოეტის"როლში, თვალწინ წარმომიდგა ვაჟას ლუხუმი("ბახტრიონი"), რომელიც აბჯაროსან ფშაველებს წინ მიუძღოდა თეთრ ცხენზე მჯომი; და როცა დაჭრილ ბერ ლუხუმს მთის ძირას, ულრან-ულაბურ ტყეში ჯაგრით შემოხილი ვეება გველი დაინახავს, შეებრალება მას უმწეოდ დარჩენილი მკერდდაღეწილი ვაჟკაცი და დაუწყებს წყლულების ლოკვას; ლუხუმს მოაბრუნებს. ვაჟა დაასკვნის:

"ამბობენ: შააძლებინა
ხნეულსო ფეხზე დადგომა;
ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა".

სპარტაკ ბალაშვილის დანახვისას თვალწინ წარმომიდგა აგრეთვე "ჩუმი მფარველი" ვაჟას შაირიდან "ფშაველი ჯარისკაცის წერილი", რომელიც ამბობს: "ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა".

თვალწინ წარმომიდგა კიდევ ნადირობის ქალღმერთის დალია და უცნობი მონადირის შვილი, ქართული ხალხური ეპოსის გმირი - ამირანი, რომელსაც "ოქროს კბილი აქვს და საცრისოდენა თვალები, მგლის მუხლი, 12-ი უღელი ხარკამეჩის ღონე და ზვავის სისწრაფე"(ქ.ხ.ე.). აქედან კი ლოღიკური დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს: თეთრ ცხენზე მჯომი ბერი ლუხუმი იგივე თეთრი გიორგია, "ლაშარის ჯვარად"ცნობილი "ჩუმი მფარველი" წმინდა გიორგია, წარმართული თეთრი გიორგის ქრისტიანე მემკვიდრე; ხოლო ლუხუმი, ლაშარი, თეთრი გიორგი, წმინდა გიორგი "ხიმბოლოა საქართველოსი"(გ.ჯიბლაძე); კიდევ მეტი: საქართველოს, ქართველი ერის ეროვნული მეობაა, რომლის ცენტრში, თეთრი გიორგისა და წმინდა გიორგის გვერდით, დგას კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი, რომლითაც ის ეროვნული ჩაგვრისაგან ხსნის იდეას დაუკავშირდა, და გილგამეშის მსგავსად, საკაცობრიო მნიშვნელობის სახედ იქცა. ამგვარად, სპარტაკ გაღაშვილი კინოფილმში "ვედრება" "პოეტი" კი არა, ლუხუმი, ლაშარი, თეთრი გიორგი, წმინდა გიორგი, ამირანი, ე.ი."კეთილია", რომლის ბუნებრივი ანტიპოდია "ბოროტი"= ეშმაკი, რომელსაც, "ვედრებას" ფინალშიც სძღევს იგი,ვინაიდან "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

XII.

აქ ერთი პარალელის გავლენა ქართულ ამირანსა და ბერძნულ პრომეთეს შორის. პრომეთემ(Prometheus = "წინდახედული"),ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ვაჟიშვილი ტიტან იაპეტოსისა და ძმა ატლასისა და ეპიმეთოსის;მოგვიანებითი გადმოცემით, - შექმნა თიხა-ტალახისაგან პირველი ადამიანი; ადრინდელი(ჰესიოდის) გადმოცემით, ძევსმა ადამიანებს ცეცხლი არ მისცა. პრომეთემ მოიტაცა ცეცხლი და მოიტანა დედამიწაზე. ძევსმა პრომეთეს დასასჯელად დედამიწაზე გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნა პანდორა, რომელმაც ის მიაჯაჭვა კავკასიის კლდეზე; ღვიძით არწივი კორკნიდა მის ღვიძლს, რაც ღამით ისევ მთელდებოდა; და-ბოლოს ჰერაკლემ გაანთავისუფლა პრომეთე. ესქილეს თანახმად, პრომეთე ძევსთან ერთად იბრძვის ტიტანების წინააღმდეგ, მაგრამ როცა ძევსმა განწირა ადამიანები, პრომეთემ ღმერთებს მოსტაცა ზეციური ცეცხლი და მოუტანა ადამიანებს ცეცხლი და კულტურა. ძევსმა კი გამოგზავნა მის დასახჯელად ჰეფაისტი, რომელმაც პრომეთე მიაჯაჭვა კავკასიის კლდეზე; და-ბოლოს ჰერაკლე ათავისუფლებს პრომეთეს.

XIII.

ხალხური ეპოსის "ამირანიანის" თანახმად (ქ.ს.ე.), ამირანია ქალ-ღმერთი დალისა და უცნობი მონადირის შვილი. ხალხისათვის თავდადებუ-ლი გმირი ღმერთმა კავკასიონზე მიაჯაჭვა. მიჯაჭვული ამირანის სა-ხე შემდეგ ეროვნული ჩაგვრისაგან ხსნის იდეას დაუკავშირდა. ამი-რანის მიჯაჭვის ხიუჟეტი: იგი ამარცხებს დევებს, ქაჯებს, გველეშა-პებს. მას მხარში უდგანან მზეთუნახავი ყამარი და ძმები ბადრი და უსუპი. აღრინდელ თქმულებებში ამირანს ყამარის მამა, ცა-ღრუბლების გამგებელი პირიმზე ხვიდა. ქრისტიანულ ეპოქაში პირიმზე ქრისტე ღმერთმა შეცვალა.

XIV.

მაგრამ, ამ-ჯერად, უფრო ხაყურადღებოთ მესახება ის ფაქტი, რომ პრომეთე, რომელიც მე-5 საუკუნეში ჩვენს ერამდე კოლხეთსა და იბერიაში ცნობილი ყოფილა, დაკავშირებულია ცეცხლის მოტაცებასა და კავკასიონზე მიჯაჭვასთან, ხოლო ამირანი, რომელიც 3500 წლის წინათ უნდა იყოს შექმნილი, დაკავშირებულია წყალთან.

XV.

და აქ მაგონდება გიორგი შარაშიძის, უთუოთ, ღირსშესანიშნავი ნარკვევი "ამირანი და პრომეთე"("კავკასიონი",პარიზი,1981 წ.), რომელშიც,-ეხება რა ბერძნული მითის"პრომეთესა" და კავკასიური ლეგენდის"ამირანის" ურთიერთდამოკიდებულებას,- სხვათა შორის, - ამბობს, რომ"პრომეთემ ადამიანებს დაუბრუნა ძევსის მიერ წართმეული ცეცხლი"(გვ.111), ხოლო "ამირანი ადამიანებს დაუბრუნებს წყლით ხარგებლობის საშუალებას". იხილავს რა ცეცხლისა და წყლის მსგავსება-განსხვავების ნიშანდობლიობას, ავტორი, ჩემის აზრით, ხაზგასმით არ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ცეცხლს არ გააჩნია "იხევ-დაბადების" უნარიანობა, ვინაიდან ის "ქრება" და "იხევ-უნდა-იქნასანთებული". წყალს კი არა მარტო გააჩნია "იხევ-დაბადების" უნარიანობა(წყალი-აორთქლება-ღრუბელი-წვიმა-წყალი), არამედ, მას ზევით, დარვინის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, გააჩნია შეგუების უნარიანობა: ჯებირთან გუბდება მანამ, სანამ ძალას მოიკრეფს, გახეთქვას მას და გზას გაიკაფავს; თუ ჯებირები დაანაწილებს, დაასუსტებს, წყალი ამასაც აღვილად ეგუება და ქვასა-და-ქვას შორისაც კი "გაძვრება", რომ ისევ შეუერთდეს მის ელემენტს; და თუ წყალს "ცეცხლი" (მზე) აორთქლებს, ესეც არ აშინებს მას: ის ადის ცაში, ქმნის ღრუბელს და ისევ როგორც წყალი ევლინება დედამიწას.

ვაჟა-ფშაველას "პატარა ნისლიც" (ლექსი:"მოლოდინი") კი ეხვეწება ზეცას, "გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს, მძიმედ დამცვირთოს წვიმითა, რომ მოვრწყა გული ქვეყნისა დაუშრომელის მიღითაო". წყლის ეს "იხევ-დაბადების" უნარიანობა მარადიულია, უკვდავია. და ანალოგიურია თეთრი გიორგი=წმინდა გიორგიც, ვინაიდან ის "მიწამომქმედია", რომელიც, როგორც გაბაფხულზე ბუნება, "იხევ-იბადება", "იხარებს", "მწიფდება", "ნაყოფს იძლევა","კვდება"გარეგნულად(ზამთარი) და "იხევ-იღვიძებს" გაზაფხულზე. ამდენად ქართული ლეგენდარული ამირანი, თეთრი გიორგი, წმინდა გიორგი "იხევ-დაბადების" უნარიანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასთანაა დაკავშირებული, როგორც ბერძნული დიონისე, თუმცა, როგორც დიმიტრი ჯანელიძე ამბობს(ქართული თეატრის ისტორია, თბილისი, 1965), დიონისე არაბერძნული, "აღმოსავლური"(კავკასიური?) წარმოშობის უნდა იყოს; და თუ ეს ასეა, მაშინ იკვრება "ისევ-დაბადების" ჯადოსნური წრე.

XVI.

მაგრამ ვინ არის და რის სიმბოლოა ეს "ღამაზი ქალიშვილი", რომელიც მესამეა კეთილსა("პოეტი") და ბოროტს("ეშმაკი") შორის?.. ვითომ "ღამაზი ქალიშვილის" აზროვან-სიმბოლიური ახსნა-განმარტებაც ვაყასთან უნდა ვეძიოთ?.. გადაიშალა რა ჩემს თვალწინ ერთერთი ფინალური კადრი "ვედრებისა", რომელშიც, უთუოთ, დიდი გემოვნებით განლაგებულ სურათში -(მარცხნივ სახჩობელა ერთერთ მაღლობზე აღმართული, რომლის ქვეშ დგას თეთრსამოსიანი "ღამაზი ქალიშვილი" ყელში ჩაჭერილი ბაწრით; მოპირდაპირე მაღლობებზე კი დგანან "ცნობისმოყვარე" მაყურებლები)- ღრმა(აღეგორიული) გამოსახვა უნდა იყოს ჩაქსოვილი, -მომაგონდა ჰომეროსის "ილიას"("ილიადა?") ერთი ანალოგიური "სურათი", როცა ასობით ცხენებით, საბრძოლო ურმებით, სამხედრო საჭურველით და, რა თქმა უნდა, მხედრებით დაცვირთული იალქნიანი გემები აულის ნავსადგურში, ხელსაყრელ ქარს ელოდებიან, მაგრამ ამაოდ. მისანი კალხა წინასწარმეტყველებს, რომ ცხოველთა მფარველი და მეუფე ქალღმერთი არტემიდა, რომელსაც ნადირობის ქალღმერთადაც თვლიდენ და ზოგჯერ ფურირმის ან ძუ დათვის სახით გამოსახავდენ, ხოლო მის სახელზე აგებული ტაძრებიდან ეფესოს ტაძარი "სამყაროს შვიდ საოცრებას"მიაკუთვებდენ, - განრისხებულია, ვინაიდან მეფე აგამენონმა, ტროადის წინააღმდეგ შეკრებილი ბერძენთა ტომების ჯარების მთავარსარდალმა, არტემიდასადმი შეწირული ფურირემი მოკლა; და მხოლოდ მაშინ გვაღირსებს ხელსაყრელ ქარს თუ აგამენონი არტემიდას თავის ქალიშვილს იფიგენიას შეწირავსო. მიუხედავათ აგამენონის მეუღლის კლიტემნესტრას გულშემზარავი გოდებისა, იფიგენია მიიყვანეს არტემიდას აღტართან შესაწირავად, ამ დროს აღტარს ნისლი ფარავს, და როცა

ნიღლი გადაივლის,იფიგენია გამქრალია, ხოლო მის აღგილას ალცართან ფურირემი დევს. გახარებული ჩინახჩარმეცყველი კაღხა თავმოყრილ მხედრებს აუწყებს:
"არცემიდამ ქალწული მოიცაცა, მაგრამ შეწირულება მიიღო. იგი კეთილგაწყობილია, გვიღოცავს გზას და ცროიას აღებას".

XVII.

მომაგონდა აგრეთვე წარმართული ღვთაება ძველ ხაქართველოში - აინინა, რომლის თაყვანისცემის შემოღებას ჩვენს ძველ დედაქალაქ მცხეთაში ქართლის "მეორე მეფეს" - საურმაგს მიაწერენ. მაგრამ მე კი უფრო შორს წამიყვანა "ვედრებას" ამ შესანიშნავმა კადრმა: თუ ამირანი, ქართული ეპოსის ეს გმირი, ნადირობის ქალღმერთის დალისა და უცნობი მონადირის მშვილია,რომელიც ხალხისათვის თავდადების გამო კავკასიონზე მიაჯაჭვეს და ამით ეროვნული ჩაგვრისაგან ხსნის იდეას დაუკავშირდა, "ვედრებას" "ღამაზი ქალიშვილი" ხახჩობელაზე, "ამირანიანის" მზეთუნახავი ყამარი ხომ არ არის?.. და, თუ ეს ასეა, აინინას, ყამარის ქრისტიანე დობილი წმინდა ნინო არ უნდა იყოს, თუ მოვიგონებთ, რომ ყამარის მამა, ცა-ღრუბლების(წყალი?) გამგებელი იესო ქრისტემ შეცვალა?.. ვითომ აქაც - აინინა, ყამარი, წმინდა ნინო(ყამარის მამა - იესო ქრისტე) - იკვრება ჯადოსნური წრე?.. ვითომ ასეთი მრავალფენოვანი ინტერპრეტაციის საბაბს იძლევა "ვედრებას" "ხახჩობელას ხელვენცი?.."

XVIII.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ხელვენცში "ღამაზ ქალიშვილს" ხრულიად არ შეეფერება აბროვნად "ბაწრით ჩამოხჩობა" იმ დროსაც კი, როცა, ჰომეროსის იფიგენიის შეწირვის მსგავსად, არა "ღვთიური ნიღლი", არამედ "ღვთიური თვალმომჭრელი ხინათლე" ხახჩობელას გარემოს იხე აბრწყინებს, რომ "ღამაზი ქალიშვილი"

ზეციური ამაღლების და ამით უკვდავების სიმბოლოთ ხდება. ამაშიც ვითომ უნდა ვიგულისხმოდ ხაქართველოს, ქართველი ერის უკვდავება, მარადიულობა.. თუ ჯვარცმას არქაული შეწირვის სიმბოლოდ. მივიჩნევთ, ვინაიდან ქრისტეს წამებამდეც სიკვდილით დასჯის ასეთი ჩვეულება არსებობდა არა მარტო რომის იმპერიაში, მაშინ "ლამაზი ქალიშვილის" "ჯვარზე გაკვრა" ან სიკვდილით დასჯის სხვა ფორმა-სახე უფრო ადექვატური ~~ა~~ იქნებოდა, რადგან "ჩამოხჩობა" "წამების" სულისკვეთებას, იდეას ვერ ქმნის; და ამით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ "შეწირვა", "წამება" არც ერთ რელიგიაში, თვით წარმართულ პერიოდში ადამიანების შეწირვისას, "ჩამოხჩობით" არ სრულდებოდა?..

XIX.

ყველა აღნიშნულიდან გამომდინარე, უთუოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ვედრებას" "პოეტი" იგივე ამირანი-თეთრი გიორგი-წმინდა გიორგი და "ლამაზი ქალიშვილი" აინინა, მზეთუნახავი ყამარი, წმინდა ნინოა, და ამით როგორც "პოეტი" ისევე "ლამაზი ქალიშვილი" ხაქართველოს, ქართველი ერის უკვდავების, მარადიულობის სიმბოლოა, ვინაიდან პირველი მას ხმალით, ფიზიკურად, ხოლო მეორე სულიერად იცავს დღეს ატომური და გამომთვლელი მანქანების ეპოქაშიც.

XX.

"ვედრებას" შინაარსის ამგვარი გაგების საბაბს იძლევა ამ გამოსახვის ფორმაც: "ლამაზი ქალიშვილის" ხათნობა, "აქაურ-იქაურობა", "მიწიერ-ზეციურობა", რომელიც მხოლოდ იმ დროს გამოჩნდება, როცა "პოეტის" ხმალს სულიერი სირღმე უნდა შთაებეროს, - ასახულია ისეთი კონტრასტით, რომ "პოეტის"=ხვარცაკ ბაღაშვილის ამირან-თეთრი გიორგისეულ და ამით ამირან-გილგამეშისეულ ფიზონომია-ფსიქოლოგია შესაბამის გამოხატულებას პოულობს ჩვენი ხამშობლოს მთიანეთის ბუნების სურათოვნობაშიც: ულრანი ტყეები, ციცაბო კლდეები თუ

ქისტთა და ხევსურთა სოფლები კოშკებითურთ - ასახულია დინჯად მოძრავი კამერათი ისე, რომ ხეების,კლდეების,კოშკების ამგვარ "მოძრავ სურათებსაც" გადავყავართ ხადღაც შორეულ წარსულში, რომ-ლის დროსაც ადამიანთა სიკეთილშობილე თუ სიბოროტე ერთი მთელის - ადამიანის - შემადგენელი ნაწილები იყო, და დარჩა.

XXI.

მაგრამ: რა უნდა გვითხრას ჩვენ, ატომური ეპოქის შვილებს ჯოყოლას, მისი ცოლის თუ ზვიადაურის ამგვარი არქაული ზნეჩვეულებების და-ცვა-არდაცვის ცდებმა?.. მერე რა, რომ ხევსურეთში თუ ქისტეთში დღესაც შემორჩენილია არქაულ-გილგამეშისეული ჩვეულებანი?..ასეთი რამ ხომ ყოველი ერის, ყოველი ტომის ცხოვრებაში არსებობდა და არ-სებობს დღესაც, მიუხედავათ ამა თუ იმ ერის თუ ტომის კულტურული თუ ცივილიზაციის დონისა?.. მაშ, რაშია საქმე?.. რატომ ასე გატა-ცებულია დღეს, ატომურ ეპოქაში ადამიანები, ტომებ ი, ერები წარსუ-ლით, ძველი ზნე-ჩვეულებებით, კულტურისა და ცივილიზაციის ფენვე-ბით?..

XXII.

ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა - ვ. ბ. შექსპირმა(ხხვათა შორის, "დიდი" უილიამ შექსპირის შთამომავალია),- გვესაუბრა რა მისი დი-პლომატიური მისიით მოგზაურობის შესახებ,თითქმის, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით არაკომუნისტურ ქვეყნებში, - მოგვითხრო, რომ მსოფლი-ოს ყოველ კუთხეში, ყოველ ერში შესამჩნევად იგრძნობა ეროვნული,ნა-ციონალური,ნაციონალისტური აღორძინება, ხოლო ზოგიერთ ერებში შოვი-ნისტური მიდრეკილებასაც აქვს ადგილი. რა მოხდა?.. რატომ ხახელ-დობრ დღეს, ადამიანის მთვარეზე დაჯდომის ხანაში ხდება ეს, ვერ გამიგიაო!..(მიუნხენი,1983 წლის 12 იანვარი).

XXIII.

ამ ფენომენის ახმნას, ვფიქრობ, შეიძლება მივუახლოვდეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, - ჯადოსნური სამკუთხედის მეთოდით, რაც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ჯადოსნური დროს სამკუთხედი: წარსული აწმყო მომავალი - წარსულის წარსული აწმყო მომავალი - მომავლის წარსული აწმყო მომავალი.

მხატვრული გამოსახვის ჯადოსნური სამკუთხედი: შინაარსი ფორმა გამოთქმა - შინაარსის შინაარსოვანი ფორმა გამოთქმა - ფორმის ფორმალური შინაარსი გამოთქმა - გამოთქმის ეთოლოგიური შინაარსი ფორმა.

დიალექტიკური ჯადოსნური სამკუთხედი: თეზისი ანტითეზისი სინთეზი - თეზისის თეზისი ანტითეზისი სინთეზი - ანტითეზისის თეზისი ანტითეზისი სინთეზი - სინთეზის თეზისი ანტითეზისი სინთეზი.

მხატვრული გამოსახვის დროს ჯადოსნური სამკუთხედი: წარსულში შექმნილის წარსული აწმყო მომავალი - წარსულში შექმნილი გამოსახვის შინაარსი ფორმა გამოთქმა - აწმყოში შექმნილის წარსული აწმყო და მომავალი - აწმყოში შეშმნილის შინაარსი ფორმა და გამოთქმა.

ვითომ ეს არის"განვითარების", ურთიერთ ზეგავლენის მამოძრავებელი ჯადოსნური ფრიადა(ჰეგელი), სამება, სამკუთხედი?..

XXIV.

შევეცადოთ ამ ჯადოსნური სამების კონკრეტიზაციას: თანასწორკუთხოვანი სამკუთხედი(ნახაზი 2.) არის, ხურათოვნად თუ ვიმხჯელებთ, იდეალური წონასწორობა("ა") წარსულს, ("ბ") აწმყოსსა და ("გ") მომავალს, ან: ("ა") შინაარს, ("ბ") ფორმასა და ("გ") გამოთქმას, ანდა: ("ა") თეზისს, ("ბ") ანტითეზისსა და ("გ") სინთეზსს შორის, რომლის მიღწევა, როგორც საზოგადოებათა და ხელოვნებათა

ისტორია ნათელჰყოფს, მეტად რთული საქმეა; და ხშირად ამის შედეგია ის, რომ "იდეალური", სამართლიანი საზოგადოების შექმნა უტოპიურ ოცნებად რჩება, ხოლო "იდეალური", ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შექმნის უნარიანობა მხოლოდ ცალკეულებმა გამოიჩინეს, თუმცა სრული წონასწორობა, ჰარმონიურობა, ჰუმანურობა, ე.ი. თანასწორკუთხოვანება შინაარსის, ფორმისა და გამოთქმის სამკუთხედში მეტად იშვიათი მოვლენაა. რატომ?.. რაშია საქმე?.. რატომ ადამიანები, ტომი, ერი თუ "კლასი" ვერ ახერხებენ იდეალური,სამართლიანი საზოგადოების შექმნას, ე.ი. ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელშიც წონასწორობა დაცული იქნებოდა არა მარტო ამ საზოგადოების ცალკეულ წევრებს, არამედ ამავე საზოგადოების, ტომის, ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის?..



ნახაზი 2.

XXV.

როგორც ცალკეული ერების, ისევე კაცობრიობის ისტორია ნათელჰყოფს; იდეალური წონასწორობის მიღწევა შეუძლებელია როგორც საზოგადოების ცალკეულ წევრებს, ისევე ამავე საზოგადოების წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, რის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს თვით ადამიანის, ტომის, ერის ბუნება და მდგომარეობა. როცა ერთი სახელმწიფო თუ ერთი ერი იპყრობს მეორე სახელმწიფოს თუ მეორე ერს, მაშინ ის, უმეტეს შემთხვევაში, ამ ქვეყნის-ერის ეროვნულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურულ-სოციალურ დამორჩილებას ჰკიდებს ხელს, რომლის ყველაზე უფრო ეფექტური ხერხია დაპყრობილ ქვეყანა-ერს "დაავიწყო","დაუკარგო", "გაუჭარწყლო" ეროვნული წარსული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეცადო ქვეყნის-ერის ფეხვების აღმოფხვრას, რომლის დროს მთელი ყურადღება უნდა იქნას გადაცანილი აწმყოსა და მომავალზე, ან მარცო აწმყოზე ან მარცო მომავალზე. ამ დროს, როგორც ნახაზ 3-ზე და ნახაზ 4-ზე ვხედავთ, უყურადღებოდაა დაცოვებული("ა") წარსული, ხოლო ყურადღების ცენტრში დგას ("ბ")აწმყო(ნახაზი 3.) და ("ბ") მომავალი(ნახაზი 4.). რა ხდება ასეთ პირობებში? -

- თუ დაპყრობილი ქვეყანა-ერი დაემორჩილება დამპყრობელის ამგვარ ბრახვებს,ე.ი.დაივიწყებს წარსულს და დაკმაყოფილდება მხოლოდ აწმყოსა და მომავლის მოთხოვნებით,



ნახაზი 3.



ნახაზი 4.

მაშინ ეს ქვეყანა-ერი ჰკარგავს თავის ხაკუთარ სახეს,სახეობას, თვითმყოფადობას და,დროთა განმავლობაში,ითქვიფება დამპყრობელ ქვეყანა-ერში. მაგრამ თუ დაპყრობილი ქვეყანა-ერი,ხულ ცოცა, ხულიერად არ ემორჩილება დამპყრობელ ქვეყანა-ერს, მაშინ მას გააჩნია მხოლოდდამხოლოდ წარსულში, ქვეყნის-ერის წარსულში ბრძოლის უძლიერესი იარაღი; და ამ შემთხვევაში დაპყრობილი ქვეყანა-ერი მთავარ ყურადღებას აქცევს ქვეყნის-ერის წარსულს, რომ შეინარჩუნოს მისი თვითმყოფადობა, ეროვნული მეობა. ამ დროს ჯადოსნური ხამკუთხედი ღებულობს ისეთ ფორმას(ნახაზი 5.),რომლის დროს ქვეყნის-ერის აღორძინება უნდა მოხდეს "ფეხვებიდან", "ძირებიდან","წარსულიდან","წარსულის ხულიერი ხაუნჯედან". აქედან,"ვედრებას" და სხვა ქართული ფილმების ხაფუძველზე,დას-

კვნის გამოცაანა რთული საქმე არ უნდა იყოს: ვინაიდან საქართველოში დღეს შეუძლებელია საქართველოს, ქართველი ხალხის დღევანდელი ერთიანული მდგომარეობის ობიექტური ახახვა, ვინაიდან ქართველი ერის შვილები უცხო ძალის უშუალო გაცონობის ქვეშ იმყოფება, ვინაიდან საქართველოს, ქართველ ერს ახიმილაციის, უცხო ერში გათქვეფის ხაშიშროების ქვეშ ამყოფებენ, და ბოლოს, ვინაიდან საქართველოს, ქართველ ერს არავითარი ფიზიკური ძალა არ გააჩნია გაუმკლავდეს უცხო ქვეყნის-ერის ამგვარ მუხანათურ ბრახვებს, მას უპირისპირებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის რამდენიმე ათასწლოვან ხულიერი ბრძოლის იარაღს, რომ ჩვენი ქვეყნის - საქართველოს - ჩვენი ერის - ქართველი ერის - ხულიერი ძალით მოპოვებულ იქნას ფიზიკური ძალაც, რომ საქართველომ, ქართველმა ერმა ისევ შეხძლოს წინასწოროების, თანაფარდობის დამყარება აღნიშნული ჯადოსნური სამკუთხედის ცალკეულ კუთხეებს - წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.



ნახაზი 5.

XXVI.

და აქ მაგონდება "ფრანგული კინოხელოვნების ცრიუმფალური თაღი", მარსელ კარნეს "ოლიმპიის ბავშვები"("Les enfants du Paradis"), რომელიც მან შექმნა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა საფრანგეთი იმყოფებოდა ნაცისტური ოკუპაციის ქვეშ.ეს კინოხელოვნების ერთერთი შედევრი ასახავს ფრანგი ერის კულტურის, განსაკუთრებით თეატრალური ხელოვნების ერთერთ ეპოქას მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე, რამაც გამოიწვია ცხარე კამათი. იმ დროს, როცა საფრანგეთი ნაცისტური ოკუპაციის ქვეშ გმინავდა და წინააღმდეგობის მოძრაობა სამკვლრო-სახიფოხლო ბრძოლას აწარმოებდა უცხო დამპყრობლების წი-

ნააღმდეგ, მარხეულ კარნე ქმნიდა კინოფილმს,რომელიც თითქოს გაურბოდა აწმყოს და ხოცგას ახხამდა წარხულს, რის ახსნა მხოლოდ ზოგიერთმა კინოკრიტიკოსებმა შეხძლეს - წერდენ რა რომ, მარხეულ კარნე და მისი თანაშემომქმედნი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კულტურის ასპარეზზე ებრძოდენ უცხო დამპყრობლებს როცა კინოეკრანზე აჩვენებდენ ფრანგი ერის წარხულ დიდებას, და ამით, არაპირდაპირ, ქადაგებდენ: "წარხული აწმყოა". მრავალი თანამედროვე ქართული ფილმი,ე.ი.არა მარტო "ვედრება",-ასახავს რა ჩვენი ეროვნული დიადი წარხულის ამათუ-იმ მხარეს,-არაპირდაპირ ქადაგებს:"წარხული აწმყოა", და ამით წინააღმდეგობის ერთერთ ფორმად მესახება.

XXVII.

"ვედრება", "ნაცვრის ხე","ფიროსმანი", "იყო შაშვი მგალობელი", "პასტორალი","ქოლგა"თუ ტელეფილმი"დათა თუთაშხია"[1] ან აღრინდელი კინოფილმები,პირველყოვლისა, "ელისო"-ასეთი ხულისკვეთებითაა გაყენილი, ჰქონდათ ეს ამ ფილმების შემქმნელებს განზრახული თუ არა. ამით იმის თქმა მსურს, რომ როგორც ადამიანს სიმშილ-სიმაძრეს მისივე ორგანიზმი აგრძნობინებს, ასევე აგრძნობინებს მას მისი სულიერი სამყარო თუ წონასწორობა ირღვევა წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. აი ეს ჯადოსნური სამკუთხედი ადამიანს, ადამიანებს, ადამიანთა შეკრულ კრებულს - ერს ანი-

---

1).დათა თუთაშხიაც ხომ "ვედრებას" "პოეტი"- იგივე თეთრი გიორგი-ამირანი-წმინდა გიორგია, რომელიც იმ დროსაც კი,როცა სასიკვდილოდ დაჭრილია, შურისძიებაზე კი არა, მკვლელის,ხულ ცოცა, მორალურ გადარჩენაზე ფიქრობს(თეთრი გიორგი-წმინდა გიორგი), ხოლო სიკვდილში (ბღვის)წყლის ელემენტს უერთდება(ამირანი), რომ "ისევ-ადგეს", რომ ადამიანებს, ერს ისევ "მსხნელად" მოევლინოს?!..

ჭეშს ისეთ მიხნურ თვისებას, რომ მისი შვილები, ზოგიერთები ფიზიკური ძალით, ზოგიერთები სულიერი ძალით, ზოგიერთები კი, თუ შესაძლებელია, ორივეთი ერთად - შეგნებულად თუ შეუგნებლად - იბრძვის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, "თავის-უფლებისათვის". აი ამგვარ ფიზიკურ და სულიერ ძალას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ საქართველო, ქართველი ერი,მთავალ ათასწლოვან ისტორიაში, "ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალს" უმკლავდებოდა და ისევ,ეროვნულ ფესვებზე დაყრდნობით, განახლდებოდა ფიზიკურად და სულიერად. და ამ უკვდავი, მარადიული ფიზიკური და სულიერი ეროვნული ძალის სიმბოლოებად მესახება კინოფილმის "ვედრებას" "პოეტი" - სპარტაკ ბაღაშვილი და "ლამაზი ქალიშვილი" - რუსუდან კიკნაძე, რომელთა ფიზიკური,ე.ი.სურათოვანი და სულიერი,ე.ი.ფსიქოლოგიური რაობა, ვფიქრობ, მართლაც ქართველი კაცისა და ქართველი ქალის სიმბოლოებია საერთოდ.

XXVIII.

და აქ მაგონდება გრიგოლ რობაქიძის სიტყვები:"ვიგონებ ვაჟას და მაგონდება ნიკო ფიროსმანი...საქართველოს სამარადისოში ვაჟას გვერდით ნიკო ფიროსმანი მეგულება...,რომელსაც შეეძლო ეთქვა ვაჟასავით, მხოლოდ მას:

"გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა".

და, მე ვიცყოდი, როცა "ვედრებაში" საქართველოს თვალწარმტაცი "მითოლოგიური" ბუნების ფონზე გამოჩნდა სპარტაკ ბაღაშვილი - იგივე "პოეტი", თეთრი გიორგი, ამირანი, წმინდა გიორგი - , მან და, უთუოთ,"ლამაზმა ქალიშვილმა" - იგივე აინინამ, მზეთუნახავ ყამარიმ, წმინდა ნინომ, სულ ცოცა, მათი სურათოვანი

გამოხახვის ძალით, ვაჟახავით მაგრძნობინეს: "გულზე მეხვენა მზე-
მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა". და "ლამაზი ქალიშვილი" მართლაც
საქართველოს, ქართველი ერის "ღვთიურ მფარველად" არ იხახება, რომელსაც
"პოეტი" ელაპარაკება?..

"ვაჟა-ფშაველას ხიდიადე ხწორედ იხაა, რომ ის არის ქართული ეროვ-
ნული გენია, უაღრესად ნაციონალური პოეტი და, იმავე დროს, უაღრესად
საყოველთაო, საკაცობრიო..." (გ.ნაცროშვილი). "რამდენად ღრმაა ნაცი-
ონალურად ხელოვნური ქმნილება, იმდენად ზენაციონალურია იგი" (გ.რო-
ბაქიძე. "ბედი ქართლისა", ნომ.38, 1961 წ.).

XXIX.

და რა გასაკვირია, რომ ვაჟას შემოქმედება უნივერსალური ჯადოს-
ნური სამკუთხედის (ეროვნულ-უნივერსალურ) ხფეროში მოექცეს, ვინაიდან
შემთხვევით არ ვადარებ წარსულ-აწმყო-მომავალს, შინაარს-ფორმა-
გამოთქმას, თეზის-ანტითეზის-სინთეზს ჯადოსნურ სამკუთხედს. თუ
წინაისტორიულ პერიოდს მხედველობაში არ მივიღებთ, როცა სამკუთ-
ხედი ქალის, ხოლო ბერძნებთან და ინდოელებთან კაცის სასქესო
ორგანოების სიმბოლო იყო, პითაგორეელები სამკუთხედში ხედავდენ
სამყაროს შექმნის პრინციპს, რაც პლატონმაც გაიზიარა. გვიან
ანტიკურ პერიოდში სამკუთხედი დიდ როლს თამაშობდა როგორც ამულე-
ტი=თალისმანი, "ჯადოსნური არსება" და თვით ღვთაებათა ნიშანიც
კი გახდა, რომლის დროს ეგვიპტელები მას "სამების" ნიშნად მიი-
ჩნევდენ. ქრისტიანე-გნოსტიკოსებმაც მიიჩნიეს ის "სამების" სიმ-
ბოლოდ, თუმცა დაუკავშირეს მას ჯერ ხელი და შემდეგ თავი, და-
ბოლოს სახე თუ თვალები ღვთისა. და ლეხაც სამკუთხედი მრავალ
ხალხში მფარველობის სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, ნათელია,
რომ წარსულის, აწმყოსა და მომავლის; შინაარსის, ფორმისა და
გამოთქმის; თეზისის, ანტითეზისისა და სინთეზის როგორც ჯადოსნური
სამკუთხედის განხილვას, კავშირი აქვს სამკუთხედის

ისტორიულ სიმბოლოსთან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წონასწორობის დარღვევის შეცნობა წარსულს, აწმყოსა და მომავალს, შინაარს, ფორმასა და გამოთქმას შორის უფრო გრძნობით, ვიდრე ემპირიულად ხდება, ვინაიდან, როგორც ავღნიშნე, - ისე როგორც ადამიანი სიმშილ-სიმაძღრეს თუ სიცივე-სიცხეს დაუფიქრებლად, შეცნობის გარეშე გრძნობს, ასევე გრძნობს ის, სხვათა შორის, იმასაც, როცა წონასწორობა ირღვევა მის პირად, მის ეროვნულ, მის საზოგადოებრივ, თუ მის ოჯახურ წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, და, შეგნებულად(შეცნობით) თუ შეუგნებლად(გრძნობით) ცდილობს ამ"ცრიადის" წონასწორობის აღდგენას; და თენგიზ აბულაძე "ვედრებაში" სწორედ ამ გზას ადგია, როცა ჩვენი ეროვნული ხულიერი სიძლიერის მოგონებით, ეროვნული ფიზიკური სიძლიერის აღორძინებას ცდილობს,რომ ისევ წონასწორობა დამყარდეს ჩვენს ეროვნულ წარსულს,აწმყოსა და მომავალს შორის.

XXX.

მაგრამ "ვედრებასაგან" დამოუკიდებლადაც შეიძლება ითქვას: ადამინი-პიროვნება, ცომი, ცომთა ბუნებრივი კრებული - ერი, ჩემის აზრით, ბუნებრივად დაჯილდოებულია "მეექვსე გრძნობით", რომელიც მას წონასწორობის დარღვევას-ადამიანის, ცომის, ერის წარსულ-აწმყო-მომავალს შორის-მისნურად აგრძნობინებს მაშინაც კი, როცა მოცემული ადამიანი, ცომი, ერი შორსაა რეალური მდგომარეობის შეცნობისაგან; და თუ ადამიანი, ცომი, ერი დაკარგავს ამგვარი მისნური გრძნობიერების უნარიანობას,მაშინ-ჯერ- ირღვევა წონასწორობა მის აწმყოსა და მომავალს შორის, და შემდეგ - ახეთი ადამიანი, ცომი, ერი იღუპება, ე.ი. კარგავს თვითმყოფადობას, ხდება "უჯიშო" და,დროთა განმავლობაში, სხვა ერში ითქვიფება. ამგვარად, ჯადოსნური სამკუთხედი ადამიანის, ცომის, ერის მისნური, წინასწარმეცნიერული,გარდაუვალი მოქმედების გზაა, ვინაიდან მასში წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთობა, წონასწორობა ისეა მოხაზული, რომ ადამიანი, ცომი, ერი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგნებულად თუ შეუგნებლად მოქმედებს მრწამსით:"წარხული აწმყოა - აწმყო მომავალია". და თუ ადამიანმა, ცომმა, ერმა ეს მისნური გრძნობა-შეცნობა არ დაკარგა, მაშინ ის - ადრე თუ გვიან - "ისევ-აღსდგება". ქართველ ადამიანს, ქართველ ცომებს, ქართველ ერს რომ ამგვარი ეროვნული მისნური თვისება არასოდეს არ დაუკარგავს, ამის დამადასტურებელია ჩვენი ერის რამდენიმე ათასწლოვანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ისტორია.

XXXI.

მაგრამ ამგვარი მისნური თვისების, უნარიანობის შენარჩუნებაგახარებას,ეჭვის გარეშეა, -ესაჭიროება "ძირა-ფენების" მოვლა-პატრონობა, რის შესახებ,მაგალითად, გრიგოლ რობაქიძე,ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე, თავის "მიმართვაში ახალგაზრდობისათვის"(მიუნხენი,1954 წელი,რადიო"თავისუფლების" 27 აგვისტოს გადაცემა),სხვათა შორის, ამბობს:"დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდან; იქაა გულის ძგერა და მაჯის ცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვარით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი - ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი - წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვარისათვის, მესიტყვენი დიდი კარდუსი, ჩვენი მითიური თავმდგენისა: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩული, შოთა, საბა სულხან ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წამოიჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართულნ თქვენ ვერა გძლევთ რა, იყვეს იგი თუგინდ დემონური ძალა..."

XXXII.

ქართველი ერის ამ "ძირა ფენებიდან" გამომდინარეობდა აგრეთვე ჩვენი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ(მიხაკო) წერეთელი, რომელმაც მის ერთადერთ ინტერვიუში(რადიო"თავისუფლება",1959 წლის 15 აგვისტო),სხვათა შორის თქვა:

როცა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ მოძრაობაში ჩავები, ჩემს წინაშე გარდაუვლად წამოიჭრა საკითხი: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ?.. და ამ ჩვენი ძველი ეროვნული ფესვების კვლევისას, დავინახე, რომ სუმერულ და ქართულ ენებს "თითქმის ერთიდაიგივე აგებულობა ახასიათებდა...უკანასკნელმა გათხრებმა სუმერების ქვეყანაში ანუ სამხრეთ ბაბილონიაში, დღეს ნათლად დაამტკიცა, რომ სუმერელები...არიან ჩრდილოეთიდან მოსულნი".

და აქ,დავსძენ მე,უკვე არ მივედით გილგამეშის თქმულებამდეც?..

XXXIII.

და ვითომ ქართველი ერის ამ "ძირა-ფენების", თვითმყოფადობის შენარჩუნება-გახარების წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუ გნებავთ, ისიც, რომ "ვედრებას" ჩვენება უცხოეთში ხდება არა ქართული, არამედ რუსული ტიტრითა და წარწერები, რაც, ნათელია, მხატვრულად-სურათოვნადაც არ შეესაბამება ამ შესანიშნავი კინოფილმის "მოძრავ-სურათოვან" გამოსახვას?..

XXXIV.

და ქება-დიდების ღირსნი არ არიან ისეთი ხელოვანები, რომლებიც, როგორც"ვედრებაში" თენგიზ აბულაძე, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის "ძირა-ფენებს", წარსულს, აწმყოსა და ამით მომავალს ასე მისნურად, წინასწარმეტყველურად განსჯვრეტენ?.. თუ, სულ ცოცა,სადავოა "ვედრებას" ამგვარი გაგება?..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1983 წელი

ადოსნური სამკუთხელი

ქართული კინოფილმის"ვედრებას" გამო

NK 517